Bundesamt für
Fremdenwesen
und Asyl

ინფორმაცია მონაცემების კოლექტიური დამუშავების შესახებ

„ზრუნვის და დახმარების საინფორმაციო სისტემა“

პირადი მონაცემების დაცვის გენერალური დებულების (DSGVO) მე-13 დ მე-14 მუხლების თანახმად

მაკონტროლებლის დასახელება და საკონტაქტო რეკვიზიტები:

Bundesamt für Fremdenwesen und Asyl (იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისი)
Modecenterstraße 22, 1030 Wien
ტელეფონი: +43- 59 133 98 7004
ფაქსი: +43- 59 133 98 7399
ელ-ფოსტა: BFA-Einlaufstelle@bmi.gv.at

მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო რეკვიზიტები:

ტელეფონი: +43- 59 133 98 0
ელ-ფოსტა: BFA-Datenschutzbeauftragter@bmi.gv.at

დამუშავების მიზნები, რომლისთვისაც გამიზნულია პირადი მონაცემები:

ფიზიკური პირების პირადი მონაცემების დამუშავება კოლექტიურად წარმოებული უნდა იქნას იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისის, „საბაზისო ზრუნვის და მომსახურების ხელშეკრულების“ მე-2 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად უცხოელებზე ზრუნვის მიზნით შექმნილი პროვინციული ოფისების და შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს მიერ.

დამუშავების სამართლებრივი საფუძველი:

„თავშესაფრის მაძიებლებზე და სხვა უფლებამოსილ უცხოელებზე საბაზისო ზრუნვის და მომსახურების შესახებ“ 2005 წ. ფედერალური კანონის მე-8 მუხლი (GVG-B 2005) ფედერალური საკონსტიტუციო აქტის 15ა მუხლის შესაბამისი „საბაზისო ზრუნვის და მომსახურების ხელშეკრულებასთან“ (B-VG) ერთად

ვადა, რომლის განმავლობაშიც დაცული იქნება პირადი მონაცემები:

მონაცემები უნდა წაიშალოს საბაზისო ზრუნვის და მომსახურების გაწევიდან ორი წლის შემდეგ იმ პირობით, რომ აღნიშნული აუცილებელი არ იქნება მიმდინარე ეტაპზე რაიმე მოსალოდნელი წარმოების ან „საბაზისო ზრუნვის და მომსახურების ხელშეკრულების“ მე-11 მუხლის შესაბამისად შეთანხმების მიზნით.

პირადი მონაცემების მიმღებთა კატეგორიები:

ფედერალური პროვინციების ფედერაციის მიერ დამტკიცებული ჰუმანიტარული, საეკლესიო ან კერძო დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს; აუცილებლობაზე შემოწმებულ მინიმალურ შემწეობაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები; ავსტრიის დასაქმების სახელმწიფო სამსახური (AMS); სოციალური

უზრუნველყოფის დაწესებულებები; საგადასახადო უწყებები; რაიონული ადმინისტრაციული უწყებები, მაგ. ჯანდაცვის უწყებები; უშიშროების ორგანოები; ახალგაზრდობის კეთილდღეობის უწყებები; ავსტრიის საინტეგრაციო ფონდი; გაეროს ლტოლვილთა უზენაესი კომისრის ავსტრიის ოფისი; საზღვარგარეთ იმიგრაციის და თავშესაფრის უწყებები; განთავსების პროვაიდერები, რომლებიც მუშაობენ ორგანიზაციების დაკვეთით (დამტკიცებულია საბაზისო ზრუნვის და მომსახურების გასაწევად); დამტკიცებული სატრანსპორტო კომპანიები, რომლებიც გადაიყვანენ დახმარების და დაცვის საჭიროების მქონე უცხოელებს, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ დახმარება (თავშესაფრის მაძიებლები, თავშესაფრის მიღებაზე უფლებამოსილი პირები, გადანაცვლებული პირები და სხვა ფიზიკური პირები, ვინც ვერ იქნება დეპორტირებული სამართლებრივი თუ დე-ფაქტო მიზეზებით); წყარო PIN რეესტრის ორგანიზაცია „ელ-მთავრობის შესახებ“ კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში; ავსტრიის სტატისტიკის სამსახური

დამმუშავებლები (DSGVO მე4 მუხლის მე-8 პუნქტის და შესაბამისად მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის (DSG) 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-9 პუნქტის თანახმად):

შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი; IBM Österreich - Internationale Büromaschinen Gesellschaft m.b.H.; Microsoft Österreich GmbH; Bundesrechenzentrum GmbH; Atos IT Solutions and Services GmbH

მონაცემთა სუბიექტის უფლებები:

პირად მონაცემთა დაცვის ავსტრიულ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება (1030 Wien, Barichgasse 40-42, ტელეფონი +43 1 52 152-0, ელ-ფოსტა dsb@dsb.gv.at) ქმედითია „მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად (DSG).

წვდომის უფლება განსაზღვრულია DSGVO მე-15 მუხლში.

შესწორების შეტანის უფლება განსაზღვრულია DSGVO მე-16 მუხლში.

განადგურების უფლება („დავიწყების უფლება“) განსაზღვრულია DSGVO მე-17 მუხლში.

ქმედითი არაა DSGVO 21-ე მუხლის თანახმად გაპროტესტების უფლება და DSGVO მე-18 მუხლის („თავშესაფრის მაძიებლებისათვის და სხვა უფლებამოსილი უცხოელებისათვის საბაზისო ზრუნვის და მომსახურების გაწევის შესახებ“ 2005 წ. ფედერალური კანონის (GVG-B) მე-8 მუხლის მე-4 პარაგრაფის) თანახმად დამუშავების შეზღუდვის უფლება.